როგორ გავაუმჯობესოთ სკოლაში სწავლა - სწავლების ხარისხის შეფასება

ბარბაქაძე მაია, კორკოტაძე მარიამ, შუბლაძე ანა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდღულაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

განაცხადი მიზნად ისახავს წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის დაცვას პლაგიატისაგან. ის წარმოადგენს ნაშრომის ავტორის განაცხადს მის მიერ წარდგენილ ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ. განაცხადში სასურველია შემდეგი შინაარსის ტექსტის გამოყენება:

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მაია ბარბაქაძე

მარიამ კორკოტაძე

ანა შუბლაძე

თარიღი: 18.06.2023

მადლობა

მადლობა გვინდა გადავუხადოთ სსიპ. ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.თბილისის N 23-ე საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ ნინო მუმლაძეს და პრაქტიკის კვლევის ჯგუფის წევრებს გაწეული შრომისა და მხარდაჭერისთვის. მადლობას ვუხდით კვლევის თითოეულ მონაწილეს იმისათვის, რომ აქტიურად იყვნენ ჩართულები კვლევის პროცესში, მონაწილეობას იღებდნენ დისკუსიებში და გვაძლევდნენ კრიტიკულ უკუკავშირს.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სკოლის სასწავლო ნაწილს, ქალბატონ ხატია ხატიაშვილს, რადგან მისი მხრიდან გამოჩენილმა ყურადღებამ, მუდმივმა ხელმისაწვდომობამ და ღიაობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კვლევის წარმატებით დასრულებაში.

მადლობას ვუხდით ჩვენს აკადემიურ ხელმძღვანელს, ქალბატონ ნათია ანდღულაძეს გაწეული შრომისთვის. ვაფასებთ იმას, რომ მოგვეცა საშუალება გვესწავლა მისი პროფესიული ცოდნა-გამოცდილებიდან.

აბსტრაქტი

სკოლის თვითშეფასება გადამწყვეტ როლს ასრულებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარებისთვის. ეს კვლევა განიხილავს გაუმჯობესებაზე ორიენტირებული თვითშეფასების განხორციელებას სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.თბილისის 23-ე საჯარო სკოლაში, სადაც თვითშეფასების პროცესი არ მიმდინარეობდა ეფექტურად. არსებული პრაქტიკის შეფასებით და ლიტერატურის მიმოხილვით, ჩვენ გამოვავლინეთ სკოლის თვითშეფასების ერთიანი სტრატეგიისა და ანგარიშვალდებულების სისტემის საჭიროება.

დემოკრატიულობის, კოლაბორაციულობის, ვალიდურობის, რეფლექსიურობისა და ცვლილებებსა და განვითარებაზე ორიენტირებულობის პრინციპებზე დაყრდნობით, ჩვენ შევიმუშავეთ გაუმჯობესებაზე ორიენტირებული თვითშეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები, ასევე დიაგნოსტიკური კვლევის შეფასების ინსტრუმენტები. ჩვენმა დასკვნებმა აჩვენა, რომ სკოლაში არსებობს ხელსაყრელი გარემო და დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების, თანამშრომლობის პრაქტიკა, სკოლა ორიენტირებულია განვითარებაზე, მიუხედავად ამისა, გაუმჯობესების საჭიროება გამოვლინდა სწავლა-სწავლების შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობისა და ახალ საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

შედეგად, ჩვენ შევქმენით თვითშეფასების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ასახავს თვითშეფასების პროცესის მიზანს, ამოცანებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს. დოკუმენტი ხაზს უსვამს ეთიკური ნორმების მნიშვნელობას, განსაზღვრავს შეფასების მკაფიო მიზნებს და ასახავს როლებსა და პასუხისმგებლობებს. ინტერვენცია მიზნად ისახავს სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას, ავტორიზაციის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მუდმივი გაუმჯობესების კულტურის ხელშეწყობას.

ეს კვლევა ხელს უწყობს გაუმჯობესებაზე ორიენტირებული თვითშეფასების დანერგვას სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.თბილისის 23-ე საჯარო სკოლაში სტრუქტურირებული ჩარჩოსა და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან შესაბამისობაში მორგებული შეფასების ინსტრუმენტების მეშვეობით.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ კვლევა გაუმჯობესებაზე ორიენტირებული თვითშეფასების განხორციელების შესახებ ხაზს უსვამს თვითშეფასების ეფექტური სტრატეგიებისა და ანგარიშვალდებულების სისტემის მნიშვნელობას. ეს კვლევა ხელს შეუწყობს სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.თბილისის 23-ე საჯარო სკოლაში მესამე თაობის ეროვნულის სასწავლო გეგმის მოთხოვნებზე მორგებული სწავლა-სწავლების შეფასების ინსტრუმენტების დანერგვას.

საკვანძო სიტყვები: თვითშეფასება, შეფასების ინსტრუმენტი, დემოკრატიულობა, კოლაბორაციულობა, ვალიდურობა, რეფლექსიურობა, ცვლილებებსა და განვითარებაზე ორიენტირებულობა, ანგარიშვალდებულება, სწავლა-სწავლება, ინტერვენცია, პრაქტიკის კვლევა, ავტორიზაცია.

Abstract

School self-evaluation plays a crucial role in the development of the quality of teaching and learning in educational institutions. This study examines the implementation of improvement-oriented self-evaluation in the 23rd public school named after Ilia Chavchavadze, Tbilisi, where the self-evaluation process was not carried out effectively. By evaluating existing practices and reviewing literature, we identified the need for a unified school self-evaluation strategy and accountability system.

Based on the principles of democracy, collaboration, validity, reflexivity and change and development orientation, we have developed improvement-oriented self-assessment criteria and indicators, as well as diagnostic research assessment tools. Our findings showed that the school has a favorable environment and democratic decision-making, collaborative practices. The school is focused on development, however, the need for improvement was identified in terms of the validity of teaching-learning assessment tools and compliance with new educational standards.

As a result, we have created a self-assessment policy document that outlines the purpose, objectives and guidelines for the self-assessment process. The document emphasizes the importance of ethical standards, defines clear evaluation objectives, and outlines roles and responsibilities. The intervention aims to improve the quality of teaching and learning, meet accreditation requirements and promote a culture of continuous improvement.

This study contributes to the introduction of improvement-oriented self-assessment in Ilia Chavchavadze Public School No. 23, Tbilisi, through a structured framework and assessment tools tailored to the goals of the third generation national curriculum.

In conclusion, research on the implementation of improvement-oriented self-assessment emphasizes the importance of effective self-assessment strategies and accountability systems. This study will contribute to the introduction of teaching and learning assessment tools adapted to the requirements of the third generation national curriculum in the 23rd public school named after Ilia Chavchavadze, Tbilisi.

Key words: self-assessment, assessment tool, democracy, collaborative, validity, reflexivity, change and development orientation, accountability, teaching-learning, intervention, practice research, authorization.